ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-19/01172472/40-17

"23" 10 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №8ბ-ს მიმდებარედ/ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, №8ბ-ში (საკ. კოდი №01.72.14.094.473) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე შენობა – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2872707 04.10.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №8ბ-ს მიმდებარედ/ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, №8ბ-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების ნახატი, გაბარიტი რაოდენობა და ადგილმდებარეობა. შეცვლილია შიდა კიბეების გაბარიტი. მეორე სართულზე „2-2" და „ზ-ზ" ღერძების კვეთაზე დამატებულია კოლონა. სახურავზე არ არის დასრულებული რუსტით ლესვა. დამატებულია დაბალი კოლონები. კიბის უჯრედში ნაწილობრივ გაუქმებულია გადახურვის ფილა.

„1-4" ფასადზე კონდიციონერს მონაცვლებული აქვს ადგილი და არ არის მოწყობილი დამცავი ჟალუზი. „1-2" მონაკვეთი არ არის რუსტებით ლესვა დასრულებული. „2-3" მონაკვეთში შეცვლილია დეკორატიული კედლის ფორმა. „3-4" მონაკვეთში გაუქმებულია საჩრდილობელი.

„ა-ზ" ფასადზე „ა-გ" ფასადზე გაუქმებულია დეკორატიული ელემენტები. შეცვლილია გარე კიბის ფორმა და გაბარიტი. გაუქმებულია გამწვანება. გაუქმებულია შშმ პირების ამწე მექანიზმი. „გ-დ" მონაკვეთში დამატებულია კონდიციონერი. ნაწილობრივ არ არის რუსტებით ლესვა დასრულებული. ჰორიზონტალურად მავალი კარის ნაცვლად მოწყობილია ჟალუზი.

„4-1" ფასადზე გაუქმებულია კიბის საფეხურები. დამატებულია გამწოვები და კონდიციონერი.

„ზ-ა" ფასადზე დამატებულია კონდიციონერები და გამწოვები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შ.პ.ს. „ოპტიმალ სერვისი"-ს, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, №8ბ-ს მიმდებარედ/ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, №8ბ-ში (საკ. კოდი №01.72.14.094.473) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საოფისე შენობა – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172472140-17 04.09.2017წ. განცხადება.
№წ-19/01172472140-17 07.09.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ფეიქაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180812889**

თარიღი: **22.03.2018**

ადრესატი:
მიხეილი ღლონტი
პირადი ნომერი: 01006014747
მისამართი: თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 12 ბ. 45

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01180232781-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ: დ. აღმაშენებლის ხეივანი, N8ბ-ს მიმდებარედ/ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, N8ბ-ში (საკ. კოდიN01.72.14.094.473) მდებარე ობიექტის (საოფისე შენობა) გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის 23.10.2017წ. Nბ-19/01172472140-17 ბრძანებაში მითითებული დარღვევები - ,,არ არის მოწყობილი დამცავი ჟალუზი", და ,,გაუქმებულია შშმ პირების ამწე მექანიზმი" - გამოსწორებულია. ასევე ტერიტორიაზე მოეწყო გამწვანება (გაზრდილია გამწვანება). სამსახურის Nბ-19/01172472140-17 ბრძანებაში მითითებული სხვა დარღვევები უცვლელია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო
სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01181381124**

თარიღი: **18.05.2018**

ადრესატი:
ნინო გურგენიძე
პირადი ნომერი: 01017018213
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, რევაზ ჯაფარიძის II შესახვევი, N 7

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01181152788-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N8ბ-ში (საგ. კოდი N01.72.14.094.473) მდებარე ობიექტის (საოფისე შენობა) გადამოწმებით დადგინდა, რომ სახურავზე და ფასადებზე დასრულდა რუსტებით ლესვა. ,,ზ-ა" ფასადზე მოიხსნა გამწოვები და კონდიციონერები. სამსახურის 23.10.2017წ. Nბ-19/01172472140-17 ბრძანებაში მითითებული სხვა დარღვევების გამოსწორების შესახებ გეცნობათ სამსახურის N17-01180812889 წერილით.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე